# სამშობლო

ოთხშაბათი
18 ნოემბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ, ხელის მოწერის დროს 8 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილ-[illegible] განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან კუკუხის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 8 მ., 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 226 ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 226

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის ნებართვით და ლოცვაკურთხევით,
პარასკევს, 27 და კვირას, 29 ნოემბერს, ქუთაისის ქალაქის თეატრში
გაიმართება პირველად ქუთაისში
დიდი ქართული სასულიერო მხატვრული საგალობელთა
სალამო-კონცერტი
კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.
შესრულებული იქნება: ძველი საეკლესიო საგალობელნი, პეტროგრადში გამართულ სასულიერო კონცერტის საუკეთესო ნომრები და სხვადასხვა რჩეული სამუსიკო ნაწარმოები.
საკონცერტო გუნდი შესდგება 200 ქალვაჟისაგან.
ბილეთები ამთავითვე იყიდება კ. ოცხელისა და მთავრიშვილის მაღაზიაში. 3—2
ცალკე აფიშები არ იქნება გაკრული.

შაბათს, 21 ნოემბერს, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში, დილის 11 საათზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ომში დაღუპულ
პოდპორუჩიკის ალექსი პავლეს ძის
მოსიძის
სულის მოსახსენებლათ,
რასაც აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს განსვენებულის მშობლები და ძმები. 1—1—6015

ქალაქის თეატრი.
ოთხშაბათს, 18 ნოემბერს გაიმართება ფრიად საინტერესო
კონცერტი
მარიამ შავერზაშვილის ქალისა
(ლირიკო სოპრანო).
კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ოპერის მომღერალი ქალი ფრონსკისა.
სხვათა შორის ქ. შავერზაშვილის მიერ შესრულებული იქნება ქართული რომანსები.

ექიმი ი. ჩარექიშვი ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახლში. (თ.)

კბილის ექიმი
მ. მგელაძე—გალიცკისა
ღებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი. მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის (ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დოროთქიფანიძის სახლი. თვ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე ურის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასწყებს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, აგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

ექიმი მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძისსახლი. თ

კბილის ექიმი რ. პ. ხვანაძის ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
ორშაბათიდან, 16 ნოემბრიდან ახალი ფართო პროგრამა.
პატე-ჟურნალი. მიმდინარე ამბები.
სენსაცია! ზრიყვი სენსაცია!
რომანი გრაფ იულიასი. დრამა 4 ნაწილად, მსახიობ ქალის პრეობრაჟენსკის მონაწილეობით.
ხუთშაბათიდან, 19 ნოემბრიდან სიყვარული ნილაბის ხვეშ. კინო პიესა 4 ნ. ბალზაკის რომანიდან, ჩერნოვისა და მოზჟუხინის მონაწილეობით.

ელო ანდრონიკაშვილის ბენეფისი.
1915 წ.
ნოემბერი
19
ხუთშაბათი
„ქართული დრამა“. № 22
ქალაქის თეატრი.
დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე
პირველად
ახალი ორიგინალური პიესა
ზურესი
3 მოქმ.
II.
ქორწილი
სოფლად
სცენები.
ანონსი:
მზადდება
შანშიაშვილის „უზნეობის მეფენი“, სენკევიჩის „მიდიხარ უფალო“ საქარიქიძელის „მოსე მწერალი“.
ავტორები: ს. პანტურიშვილი, ი. მჭედლიშვილი.
მონაწილეობს მთელი დასი.
ადგილების ფასი საბენეფისოა.
რეჟისორი შალვა დადიანი.
ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-ბა. 1—1

Фортепіанный техникъ и Спец.
Настройщикъ
М. Я. Ксендзоцкій Остановился въ гостиницѣ „ФРАНЦІЯ“
Пробудетъ до. 22-го ноября, С. ꙁ. включително.
2—1—6016

„სორაპნის“ გამოცემა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ქართული
კედლის კალენდარი 1916 წ.
შედგენილი გრ. ჩარკვიანისა და მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ჯიბის—სახალხო კალენდარი 1916 წლისა
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ვისაც სურს „პარტიით“ იყიდოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:
ტფილისი, სტამბა „სორაპანი“, მ. გაჩეჩილაძეს.
5—3

## უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

**პეტროგრადი**, 16 ნოემბერი. ოფიციალური. დასავლეთის ფრონტი. რიგის რაიონის ფრონტზე ალაგ-ალაგ საარტილერიო სროლა იყო. რიგისა და დვინსკის შუა მდებარე რაიონებში ცვლილება არ მომხდარა. დვინსკის ჩრდილო დასავლეთით, ილუკსტისა და დ. კაზიმირიშკის რაიონებში გერმანელებმა 15 ნოემბრის ღამით ძლიერი საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს ჩვენს თხრილებს და გათენებისას იერიშით წამოვიდნენ. ჩვენს მტერს შევაგებეთ არტილერიისა და თოფის ცეცხლი და იძულებულ ვყავით უკან დაეხია თავის თხრილებისკენ. [illegible] რა ამათ ჩვენმა ჯარმა თვით გადავიდა კონტრიერიშზე, რასაც შედეგათ მოჰყვა მტრის გამოდევნა კაზიმირიშკიდან და მის დასავლეთით მდებარე ტყიდან. ამავე დროს ჩვენი ჯარის ნაწილი შეიჭრა ილუკსტში და დაიკავა აღმოსავლეთის ნაწილი. გავაფართოვეთ რა წარმატება, ჩვენ ხელში ჩავიგდეთ ორი სასაფლაო. დაბასი და ნაწილი გერმანელებისა სამხრეთით. ბრძოლა კვლავ გძელდება. ორივე მხარემ საარტილერიო ცეცხლი გააფართოვა. დანარჩენ ფრონტზე დვინსკიდან მდ. პრიპიატამდი ცვლილება არ მომხდარა.

პინსკის სამხრეთ დასავლეთით ჩვენმა მოსაზღვრე რაზმმა ბრწყინვალე თავდასხმა მოახდინა გერმანელების ბანაკზე. 15 ნოემბრის ღამით შეუმჩნევლათ მიუახლოვდა გერმანელების 82 დივიზიის შტაბის ბანაკს ნეველთან მემამულის სახლში და მოულოდნელათ იერიში მიიტანეს სახლში მყოფზე. ხელით სასროლ ყუმბარებითა და შტიკებით ამოსწყვიტეს შტაბის დამცველები. ორი გენერალი და 1 დივიზიის უფროსი, 1 ექიმი, 3 აფიცერი და ჯარისკაცები ტყვეთ წამოიყვანეს. გერმანელების მაშველი ჯარის შეტევით ჩვენმა რაზმმა უკან დაიხია. ტყვეები თან წამოიყვანა. ჩვენი ზარალია: 2 მოკლული და 9 დაჭრილი, ამათ რიცხვში სამი ოფიცერი დაჭრილია და 1 მოკლული. მდ. სტირის მარცხენა ნაპირზე, სოფელ კოზლინიკთან მტერი იძულებული იყო რამდენიმეთ უკან დაეხია ჩატორიისკის რაიონში.

**კავკასიის ფრონტზე** ცვლილება არ მომხდარა.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

**რომი.** 15 ნოემბერი. მთავარი ბინის ცნობა. ტიროლ-ტრენტინოს საზღვარზე და კარნიაში მცირე რაზმებთა შორის შეტაკება ხდებოდა და ძლიერი საარტილერიო სროლა სწარმოებდა. ბრძოლის შედეგათ მოჰყვა ჩვენი წინ წაწევა რიოთ-ფელიცონეს ხაზზე და მონტენეროზე. გრზეზე

იერიშის დროს ჩვენმა ჯარმა ხელში ჩაიგდო 120 ტყვე, მათ რიცხვში 5 აფიცერი. გორიცის ჩრდილო დასავლეთით ბრძოლა არ გრძელდება. ჩვენს ჯარს არტილერიამ დახმარება გაუწია და თავი დააღწია მავთულის ხლართს, რომლითაც დაფენილია ეს ადგილები. 30 დაატყვევა. კარსოზე საარტილერიო სროლა ხდებოდა. ჩვენი ჯარი დამკვიდრდა დაკავებულ პოზიციებზე და მტრის იერიში მოიგერია. ამასთანავე ხელთ იგდო 49 კაცი.

**პეტროგრადი.** 15 ნოემბერი. ამ დღეებში შავ ზღვაში მტრის წყალქვეშა ნავი გამოჩნდა კავკასიის სანაპიროებთან. წყალქვეშა ჩვენს უიარაღო გემს შეხვდა და სროლა აუტეხა, მაგრამ ზიანი არ მიუყენებია. ესევე ნავი ნაპირთან მდგომ გემს მიუახლოვდა; უკანასკნელმა თოფის სროლით მოიგერია.

**რომი.** 16 ნოემბერი. მთავარი ბინის ცნობა. დიდმა ყინვებმა მაინც ვერ შეაფერხა ჩვენი დაუღალავი ჯარის მოქმედება, საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. რიეფელიცონის ჭალაში ჩვენი შეტევა წესიერათ ვითარდება. ერთერთ იერიშის დროს ტყვეებს გარდა მტერს წავართვით ტყვიის მტყორცნელი. გორიცის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მაღლობზე გუშინ ჩვენი იერიშები წარმატებით ვითარდებოდა. იმ დროს, როდესაც მაღლობ 188 მწვერვალიდან ჩვენ ძირს ჩამოვდიოდით ხეობაში, ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 115 ჯარის კაცი, მათ რიცხვში სამი აფიცერი. ოსლავიის მიდამოებში, რომელსაც მტერი ისე თავგამოდებით იცავდა, ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 261 ჯარის კაცი, მათ შორის 4 აფიცერი. ჩვენმა ჯარმა მონტესანმიკელეს სეკტარში მოიგერია კონტრიერიში მტრისა და დიდი ზარალიც მიაყენა მას, ხელში ჩაიგდო ტყვეები, რომელთა შორისაც ორი აფიცერია. დანარჩენ ფრონტზე კარსოსთან ჩვენ ცოტათი წინ წავიწიეთ.

## ქართული პრესა.

გაზეთი „საქართველო“ სამართლიანათ აღნიშნავს, რომ.

„მეგობარი“, „სახალხო ფურცელი“ და „ჰორიზონი“ ტკბილად საუბრობენ იმაზედ, თუ ქართველებმა რა უნდა დაუთმონ სომხებს და ჩვენი „სოციალისტებიც“, აღჭურვილნი კეთილმოსურნეობით და „სადა“ პოლიტიკური ალღოთი, უთმობენ სომხებს ახალქალაქის, ახალციხის და ბორჩალოს მაზრებს, რადგან იქ ქართველობა ნაკლებად არისო. ეს საკითხი მრავალ მხრით არის საინტერესო და მჭიდროდ დაკავშირებულია ქართველი ერის არსებობასთან, ამიტომ ესე იოლად მისი გადაჭრა მარტო იმათ შეუძლიათ, ვინც პასუხისმგებლად არა გრძნობს თავის თავსა და არც ესმის სიმძიმე ამ პრინციპიალური საკითხისა. მხოლოდ მათ შეუძლიათ ასე საკითხის გადაჭრა, ვინც ჯგუფობრივ ინტერესებზედ სწირავს მთელი ერის კეთილდღეობას და ეშმაკსაც დაუთმობს სულს, ოღონდ თავისი უნიათობა და უძლურება დაუმალოს ხალხსა და საზოგადოებას.

სადა გონება ადამიანისა, სადა რეალიზმი პოლიტიკაში მოითხოვს—იხელმძღვანელო არა განყენებული სათნოებით, არამედ ხალხის რეალი ინტერესებით და ერთი ვკითხოთ—რა მოსთხოვეს უპასუხისმგებლო სოციალისტებმა სომხებს იმ ტერიტორიის კომპენსაციად, სანაცვლოდ, რომელსაც აგერ მესამე წელიწადია უხვად გასცემენ მათზედა?—„აღსარება ქართველი ერის უფლებისა თვითმართველობაზედ, ანუ ავტონომიაზედ“.—ეს არის მთლად მათი გამოთხოვილი კომპენსაცია. ნუ იფიქრებთ, რომ ეს ხუმრობაა. ეს საუბედუროთ, ფედერალისტების გონებაში შემუშავებული აზრია. ამას სწერდნენ გაზეთებში, ამას ხელს აწერდნენ მოსკოვის კონფერენციაზედ, ამას ამბობენ დღესაც.

ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ „ამასვე“ იტყვიან ხვალაც, რადგანაც მიუწვდომელ არს ფედერალისტთა ნაციონალ-სოციალისტობა და გულუხვობა მათი აღმატება დაშნაკცაკანთა განზრახვასაც კი!...

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე იტყობინება თბილისიდან, რომ ამ დღეებში მეფის მოადგილეს დეპეშით აცნობეს პეტროგრადიდან ალავერდის კაფედრის აღდგენის შესახებ.

◆ გუშინ თბილისის სასამართლო პალატა შეუდგა სისხლის სამართლის საქმეების გარჩევას.

◆ ქუთაისის სამოქალაქო პირველ დაწყებითი შკოლების მართველებმა ანტონ ოდიშარიამ, თამარა გიორგ. ასულმა მაჭავარიანმა პირველ დაწყებით სამოქალაქო შკოლის მასწავლებელმა თ-დ. ლორთქიფანიძემ, მთავრიშვილმა და დავ. ნ. ავალიანმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართონ განიხილონ, ქუთაისის გუბერნიის პირველ-დაწყებით სასწავლებლების მოწაფეთა და მასწავლებლებითა დამხმარე საზოგადოების წესდება.

◆ 16 ნოემბერს 9 საათზე კაზაკოვის ქუჩაზე კ. ჩარკვიანის ეზოში უცნობებმა ყუმბარა გადისროლეს, ზარალი უმნიშვნელოა.

◆ ქუთაისის ქალაქის მოურავი ბ-ნი ილია მ. ჩიქოვანი თბილისიდან უკვე დაბრუნდა ქუთაისს და გუშინ შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას.

◆ სამხედრო მიმოსვლის უფროსმა დეპეშით აცნობა სამაზრო უფროსებსა და ქალაქების თვითმართველობებს, რომ ამის შემდეგ ვაგონების განაწილებისა და გაგზავნის ცნობა სამხედრო სამმართველოში უნდა მოხდეს ორ კვირაში ერთ ხელ და არა ერთ კვირაში, როგორც აქამდის ხდებოდა მხოლოდ დაევალოს ვაჭრებს გამოიწერონ ვაგონები უფრო მეტი, ვიდრე აქამდის იწერდენ.

◆ ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომმა დანილოვსკიმ, სამაზრო აგრონომებს დაუგზავნა ფურცლები, სადაც სთხოვს, რაც შეიძლება მალე წარმოადგინონ ანგარიში ქუთაისის სამეურნეო შკოლის იმ მოწაფეთა ნამუშევარისა რომლებიც წარსულ ზაფხულში სხვა და სხვა სოფელში იყვენ წარსული მეომართა ოჯახების სამეურნეო დახმარების აღმოსაჩენათ.

◆ ქუთაისის საგუბერნიო საერობო აგრონომი ბ-ნი დანილოვსკი მეფის მოადგილის განკარგულებით გაემგზავრა თბილისს, ხოლო მის მოადგილეთ დროებით დანიშნულია გ. ვ. ბაგდანოვი.

◆ ქუთაისის გუბერნიის სხვა და სხვა სოფელში განზრახულია დაარსდეს სასოფლო სამეურნეო საზოგადოებები, რომელთა მიზანიც იქნება გააუმჯობესოს სასოფლო სამეურნეო წარმოება და გლეხებს აღმოუჩინოს საჭირო დახმარება.

◆ აგრონომ ინსტრუქტორმა ბ-მა ვასილ კანდელაკმა, მთავრობის განკარგულებით, იჯარით აიღო დაბ. ბაღდადში აზ. კორნელი ფურცელაძის ადგილი, სადაც დაიწყო მუშაობა თესვის შეცვლის განვითარებისათვის.

### სთეატრის ქრონიკა.

ქალაქის თეატრში, ხვალ 19 ნოემბერს, „ქართული დრამის“ მსახიობთა მიერ **ელ. ანდრონიკაშვილის საბენეფისოდ** წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა ს. ჭანტურიშვილისა „ბურუსი“ და ერთმოქმედებიანი მოზაიკა ცეკვითა და სიმღერით „ქორწილი სოფლად“ ივ. მჭედლიშვილისა. „თეკლეს“ როლს შეასრულებს მობენეფისე; დანარჩენი როლები დასის საუკეთესო ძალთა შორის არის განაწილებული.

— —

შემდეგი ბენეფისი 26 ნოემბერს ა. ყალაბეგიშვილისა.

— —

მზადდება ე. ნინოშვილის საღამო, გრიმებში და ტანთსაცმელებში წაკითხული იქნება მისივე მოთხრობიდან გადმოკეთებული „მოსე მწერალი“.

### თბილისი.

— მეფის ნაცვლის სასახლეში, 14 გიორგობისთვეს 12 ნახ. საათზე, მეფის ნაცვალს, წარუდგნენ სასახლეში პეტროგრადიდან ახლად დაბრუნებულნი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიათა თავადაზნაურობის მარშლები თ-დნი დ. ე. ჩოლოყაშვილი და დ. ოტ. ნიჟარაძე და სიტყვიერად მოახსენეს მის უმაღლესობას თავიანთი მოქმედების ანგარიში პეტროგრადში სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნების დროს. დიდმა მთავარმა ყურადღებით მოისმინა მოხსენება და შემდეგ კეთილ ინება საუზმეზე მიეწვია მარშლები.

— შუამდგომლობა. სოხუმის ქალაქის მოურავმა თავ. ნ. ყ. თავდგირიძემ მეფის ნაცვალს, დასაბუთებული მოხსენება მიართვა, რომელშიაც ამტკიცებს, რომ აფხაზეთის მცხოვრებთათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ქალაქ სოხუმში დაარსდეს ოლქის სასამართლო. შუამდგომლობის განხორციელება საჭიროდ თუ იქნება აღიარებული, მომხსენებლის აზრით, ახალ ოლქის სასამართლოს სამოქმედო რაიონს უნდა შემოუერთდეს შავი ზღვის გუბერნიის ნაწილი, ტუაპსედან მოყოლებული სოხუმამდე და ზუგდიდის მაზრის ის ნაწილი, რომელიც მდინარე ენგურს ეკვრის. ასეთი გაერთიანება სხვადასხვა რაიონებისა არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა დამთავრდება შავი ზღვის რკინის გზის მუშაობა, რაიცა სამი წლის განმავლობაში მოხდება. რათა მთავრობას პირველ ხანად ხარჯები შეემსუბუქდეს, როგორც [illegible] ამბობს მოხსენებაში, [illegible] საჭირო შესაფერი ადგილი და 50,000 მანეთი გადასდოს ოლქის სასამართლოს შენობის ასაგებად.

— შიო მღვიმელის მოღვაწეობის გამო. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უწყიან, ქართველმა დედებმა გადასწყვიტეს რომ შიო მღვიმელის ლიტერატურულ მოღვაწეობის აღსანიშნავად დღესასწაული იქნას გამართული. ამ აზრის განსახორციელებლად პატიოსანმა მანდილოსნებმა თავიანთ შორის აირჩიეს კომისია, რომელსაც დაავალეს სადღესასწაულო პროგრამის შემუშავება და დღესასწაულის მოწესრიგება. კომისიამ პროგრამა შეიმუშავა და განსახილველად წარუდგინა დედათა წრეს. ამ პროგრამის მიხედვით, ვინაიდან შიო მღვიმელი საბავშო პოეტია და მისი პოეზია მომეტებულ ნაწილად ბავშვებს ღრმად ეკვეთებათ გრძნობა-გონებაში, ამიტომ ქრისტეშობისთვის დამლევამდე ბავშვთათვის გაიმართოს შიოს სადღესასწაულო საღამო. ეს პროექტი მოწონებულ იქმნა, მაგრამ ამასთანავე დედათა წრეში ის აზრიც გამოითქვა, რომ შიო მღვიმელი ყველა ქართველისათვის სათაყვანებელი პოეტია და ამიტომ მის პატივსაცემლად და მისი მოღვაწეობის აღსანიშნავად დიდებისთვისაც უნდა გაიმართოს დღესასწაული. ეს აზრი ერთხმად იქნა შეწყნარებული და წრემ გადასწყვიტა შეადგინოს პატარა კომისია, რომელიც უკვე არსებულ კომისიას დაეხმარება და იმას დაევალოს დიდთათვის დღესასწაულის მოწესრიგება.

## კერძო თათბირი

(ქართველ ებრაელების).

გუშინ, 16 ნოემბერს შავი ქვის საბჭოს დარბაზში, მთავრობის ნებართვით, მოხდა კერძო თათბირი პრესისა და ქართველ ებრაელების წარმომადგენლებისა. თათბირზე მოწვეული იყო ქუთათურ ებრაელების რაბინი ელიაშვილი. კრება გაიმართა ონის რაბინის დ. ბააზოვის თაოსნობით იმის გამოსარკვევათ, თუ რა მიზეზით ეწინააღმდეგება ქუთათური რაბინი კრების გამართვას, ან მართალია თუ არა ის მოსაზრება ქუთათური „რაბინისა, ვითომც ონის რაბინს განზრახვა ჰქონდეს ჩამოაშოროს ქართველი ებრაელობა ქართველებს.

ეს ერთიხანია პრესაში ლაპარაკია ქართველ ებრაელების რაბინების კრებაზე.

## ჩვენი მოწინააღმდეგენი

### ქართველ—სომეხთა საკითხის შესახებ.*)

სხვისი მაზიარებელი თვითონ დარჩა უზიარებელიო, ეს სიტყვები სწორედ ჩვენზეა ნათქვამი. მართლაც, ქართველს ყოველთვის ესახელებოდა სხვისთვის თავის გამოდება და თავდადება, მაგრამ მისი უბედურობა ის იყო, რომ თავი აღარ ახსოვდა.

და დღესაც იგივე ზნე შეგვრჩენია და ჩვენზე უძლიერესს ვევლებით თავს მაშინ, როდესაც ჩვენი თავისთვის ვერა გაგვირიგებია-რა!

წაიკითხეთ, მაგალითად, ხსენებულ რუსულ ჟურნალში ქართველის წერილი, რომელსაც თავი „გორინად“ მოუნათლავს, და დარწმუნდებით, რომ არაფერს ვაზვიადებთ.

კ. გორინის სიტყვით, სომხებს ქართველებთან ყველაფერში სიმართლე მიუძღვისთ და ერთად-ერთი მათი დანაშაული ის არის, რომ ჩვენზე უფრო კულტუროსანი და განათლებული არიან! თუმცა, ღვთის წინაშე, უნებურად წამოსცდა და აღიარა, ქართველი მუშები სომხებზე უფრო განვითარებული არიანო, მაგრამ უცაბედად წამოსროლილი სიტყვა უცებ გადაფუჩჩა და მიჩქმალა.

რა ვუყოთ მერე, ქართველ თავად-აზნაურობას რომ ხელიდან ეცლება მიწა, თუ კი სომხის კაპიტალისტები იძენენ: ეს ფეოდალიზმის ნანგრევებზე კაპიტალიზმის აღმოცენებასა და, მაშასადამე, ეკონომიურ პროგრესს მოასწავებსო, გვეუბნება ბ. კ. გორინი.

ეკონომიურ პროგრესს რომ თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია კი არა, არამედ უმთავრესად ხალხი ჰქმნის, ეს კი, სამწუხაროდ, ავიწყდება.

სომხებსა და ჩვენებურ დასელებსა სურსთ, რომ, თუ კი ქართველმა თავად-აზნაურობამ ხელიდან გაუშვა მიწა, სომხის კაპიტალისტებმა შეიძინონ. ჩვენის აზრით კი ისა სჯობია, რომ ხელიდან გავარდნილი ლუკმა ისევ ჯამში ჩავარდეს, და ჩვენ წინაპართა ოფლითა და სისხლით მორწყული მამულ-დედული ჩვენი ხალხისავე ხელში გადავიდეს.

ეს კიდევ არაფერი! ბ. კ. გორინი გოდებით შესჩივის რუსეთის საზოგადოებას, სომხები დევნილი არიან ქართველების მიერ სამოქალაქო ცხოვრების ყველა ასპარეზზე. არც ქალაქის თვითმართველობასა და არცერთ საკრედიტო დაწესებულებაში არცერთ სომეხს არცერთი ადგილიო, აი რა აქვთ ქართველებს მიზნად და ლოზუნგად. პოლიტექნიკუმის ადგილად რომ საბურთალო არ აირჩიეს, ეს მიტომ იუარა ქართველმა საზოგადოებამ, რომ რეაქციონერია და თავად-აზნაურობას თანაუგრძნობს; სერგის კაკაბაძეს რომ აუტყდნენ, მიტომ, რომ მან მეცნიერულად დაამტკიცა სომეხთა კულტურისა და განათლების გავლენა ქართულზეო, და სხ. და, ბოლოს, ერთად-ერთ დემოკრატიულ, საღ ფხიზელ პარტიად აღიარებს იმ დასს, რომელსაც ეკუთვნიან თვითონ ავტორი და სახელმწიფო სათათბიროს ქართველნი წევრნი.

საჭიროდ არ მიმაჩნია შევაჩერო ქართველი მკითხველის ყურადღება რომელსამე ხსენებულ ბრალდებაზე. ვიტყვი მხოლოდ, რომ, როგორც ნათქვამიდან სჩანს, იმ „ინტერნაციონალურ“ დასს, რომელსაც ბ. კ. გორინი ეკუთვნის სომეხ—ქართველთა ურთიერთობის საკითხში აშკარად უჭირავს სომხების მხარე.

მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე „ინტერნაციონალური“ ბანაკიც გადარჯულებულა და ჩვენსკენვე ისვრის მოწამლულ ისრებს. (იხ. „მეგობარი“, № 13, „იმ-ამ“-ის წერილი).

ბ. „იმ-ამ“-იც იმასვე იმეორებს, რასაც ბ. კ. გორინი, ე. ი. ვითომ ჩვენ სომხების მიმართ აგრესიულს, სამტრო პოლიტიკას ვაწარმოებთ, და თან დასძენს:

„სამწუხაროდ, ომის შესახებ ყოველთვის იგინი ყვირიან, ვინც ომისათვის ნაკლებ მომზადებული არიანო... ნურავინ იფიქრებს, რომ ძლიერი ის იყოს, ვინც მუშტისა და კრივის შესახებ ყვირის ნიადაგ. ხშირად ძლიერების მაჩვენებელი სწორეთ თავაზიანობა და სრული რიგიანობაა. მართალია, ცხოვრება ბრძოლაა, ცხოვრება ჭიდილია, მაგრამ ეს იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ ბრძოლა ნიადაგ ზარბაზნებითა და ტყვია-წამლით ხდებოდეს, ანა და რაღა ჭიდილია ის ჭიდილი, თუ მოჭიდავეები დანებით ეცემიან ერთმანეთს. დანა და ზარბაზანი უკანასკნელი საშუალებაა, ორივე მეომრის საზარელი უქმეალად“.

მიკვირს, რისთვის მოგვიწერს ბ. „იმ—ამ“ ისეთს უცნაურ პოლიტიკას, რომელიც სიზმარშიაც კი არ მოგვჩვენებია. აბა ვის და როდის დავემუქრებივართ ან ზარბაზნითა, ან დანითა და ან თუნდ მუშტით?! და როდის იყო, რომ უმსგავსმა პროვოკაციამ აგვიყოლია და შავრაზმელობას მივყავით ხელი? გვაშორონ ღმერთმა ყოველგვარი უკეთურობა და კაციჭამიობა, რომელსაც მხოლოდ ბარბაროსები და ველურები მიმართვენ ხოლმე.

ეროვნული თავდაცვისათვის ბრძოლაზე კი ხელს არ ავიღებთ, რადგან ამას ჩვენი ერის დედამიწის პირიდან აღგვა და გაცამტვერება მოჰყვებოდა შედეგად.

ისტორია კლასთა ბრძოლაა, ამბობდა მარქსი და იმეორებენ დღემდის მისი მიმდევრები. მაგრამ დღეს რუსეთის პირველმა მარქსისტმა პლეხანოვმა და მისმა თოვარიშებმა, ვგონებ, თვით ნაციონალისტებს გადააჭარბეს ეროვნული პრინციპის გაღმერთებაში. და ლოზუნგებად ძველი ფორმულები აღარ გამოდგებიან.

ეროვნული ბრძოლა ისეთივე აუცილებლობაა, როგორც კლასთა ან პიროვნებათა ბრძოლა, და უამისოდ პროგრესის ჩქარი მიმდინარეობა შეუძლებელი იქნებოდა. მხოლოდ ლაჩართ ეშინიათ ბრძოლისა!

რაც შეეხება ბრძოლის მეთოდს, ამ მხრით კი დიდი სხვადასხვაობა სუფევდა ისტორიულ წინა ხანში და დღეს. ძველად საერთაშორისო საკითხი მხოლოდ ხმლით გადასწყდებოდა ხოლმე და, თუმცა დღესაც ტლანქ ძალას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ, ჯერ ერთი, საერთაშორისო უთანხმოებანი შეთანხმებითა და შერიგებით უფრო ხშირად სწყდება, ვიდრე ხმლითა, და, მეორე, მოპირდაპირენი თვით ამ საზარელი ომის დროსაც კი არ უარყოფენ პრინციპიულად თითოეული ერის თავისუფლებას. და ეს დიდი ნაბიჯია წინ საერთაშორისო უფლების განვითარების მხრით.

დიახ! თანდათან იკიდებს ფეხს ის შეგნება, რომ საერთაშორისო ბრძოლა უნდა იყოს მშვიდობიანი, კულტურული.

მაგრამ ამ საერთაშორისო საკითხს არც ისე დიდი დამოკიდებულება აქვს ქართველ—სომეხთა ეროვნული ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტასთან, რადგან, ბევრიც რომ მოვინდომოთ, მშვიდობიანი კულტურული ცილობის ფარგლებს ვერ გადავაბიჯებთ.

მაშასადამე, როდესაც ქართველ-სომეხთა ურთიერთობის საკითხს ვეხებით, ზარბაზნებისა, დანებისა და მუშტების ხსენება—სრულიად უადგილო და შეუწყნარებელია.

რაც შეეხება კულტურულს, მშვიდობიან ბრძოლისა და ცილობას, რა ცოდვა მიგვიძღვის, რომ მარტო ჩვენ უარვყოთ ეს ერთად-ერთი თავდასაცავი იარაღი?! და რომელი ერია, რომ მას არა ხმარობს? განა სომხები თვითმართველობასა, ბანკებსა. კოოპერატივებსა, სავაჭროსა და სამრეწველო საქმეებსა, საახალშენოსა, სასწავლოსა და ყველა სხვა კულტურულ დაწესებულებაში, რომელიც კი ხელში უპყრავსთ, ეროვნულ პოლიტიკას არ აწარმოებენ?!

მართალია, გვეუბნებიან ჩვენი „ინტერნაციონალისტები“, მაგრამ ამგვარ პოლიტიკას სომხის ბურჟუაზია აწარმოებს და არა სომხის ხალხიო.

წინასწარი აზრი ხშირად უბნელებს კაცს ხედვას და აქაც სწორეთ ამ მოვლენას აქვს ადგილი.. თორემ განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ სხვა და სხვა ქვეყნის პროლეტარები და გლეხები ერთმანეთს ებრძვიან ეკონომიურ ნიადაგზე? გერმანელი მუშები განა არ უჩიოდენ პოლონელ მუშებს, შრომის ფასი დასწიეს და გაგვაღარიბესო? ამერიკელი მუშებიც ამ ნიადაგზე არ ებრძვიან იაპონელებსა და ჩინელებს? განა სომხის გლეხი უარს ამბობს დაესახლოს იმ მიწაზე, რომელიც ხელიდან გამოეცალეს ქართველ გლეხს? და განა თვით ერთისა და იმავე ერის მუშათა შორისაც არა სწარმოობს ულმობელი ეკონომიური ბრძოლა? მაგალითად, როდესაც ერთი მუშა ადგილს შოულობს ქარხანაში, მეორე კი ქუჩაზე რჩება, განა ეს ერთი მებრძოლის გამარჯვება და მეორის დამარცხება არ არის?!

დიახ, მუშათა შეერთებას, სოლიდარობას, არ ძალუძს მოსპოს მათ შორის ბრძოლა, რომელიც არის სოციალური პრინციპის ერთ-ერთი საფუძველი. ბრძოლა და სოლიდარობა—ერთისა და იმავე სოციალური პროცესის ორი მხარეა. და მხოლოდ მკვდარი არ იბრძვის.

---

*) იხ. (Національныя проблемы № 4 და „მეგობარი“ №№ 7 და 13).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლი თაოსნობა ამ საქმის მოწყობისა იკისრა ონის რაბინმა ბ. დ. ბააზოვმა და სათანადო ნებართვაც მიიღო მთავრობისაგან. პროვინციის რაბინები ყველა სიხარულით შეეგება ამ განზრახვას და მოწოდებები დაბეჭდეს ქართულ გაზეთებში. ორჯერ დაინიშნა კრება, მაგრამ არც ერთხელ არ შესდგა, რადგანაც, როგორც ზევით ვსთქვით, კრების გამართვის წინააღმდეგი უნდა ყოფილიყოს ქუთათური რაბინი ელიაშვილი, რომელსაც კერძო წერილები მიუწერია პროვინციის რაბინებისათვის არ დასწრებოდენ კრებას. და, რადგანაც ქუთათურ რაბინს თავისი შესაფერი გავლენა მოუხდენია რაბინებზე— კრება ორჯერვე ჩაიშალა.

თათბირი უმთავრესად შეეხო ამ საკითხის გამორკვევას და აგრეთვე ბ. ბააზოვის სამოქმედო პროგრამის განხილვას.

პირველათ თათბირზე სიტყვა წარმოსთქვა ბ. ბააზოვმა, რომელმაც, სხვათა შორის, შემდეგი სთქვა:

ბატონებო! მოხარული ვარ, რომ დღეს ორი ერის—ქართველებისა და ქართველ ებრაელების წარმომადგენლებს აქ ერთად შეკრებილს ვხედავ; უკანასკნელი სტატისტიკით მთელს ქვეყანაზე 14 მილიონი ებრაელია. თუ გადავავლებთ თვალს ებრაელ ერის ისტორიას, დავინახავთ, რომ არც ერთს არ განუცდია ისეთი ტანჯვაწვალება, როგორც ეს ამ ერს ხვდა წილათ. მიუხედავათ ამისა, ებრაელ ერს ყოველთვის თავის წვლილი შეჰქონდა საკაცობრიო ისტორიაში. თუ შევადარებთ ჩვენ ამ ერის ცხოვრების სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ერებისას, დავინახავთ, რომ ყველა ერზე კულტურულათ მაღლა თუ არა დგას, ჩამორჩენილი არაა. თვით აზიაში და აფრიკაშიც მცხოვრები ებრაელობა მაღლა სდგას თავის მეზობელ ერებზე; ბევრი მეცნიერი და ბევრი ნასწავლი გამოსულა ამ ერიდან, რომელთაც დიდი სარგებლობა მოუტანიათ კაცობრიობისთვის.

მაგრამ სამწუხაროთ და საუბედუროთ, ის რაც ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელობაზე და მათ კულტურულ განვითარებაზე, ესევე არ ითქმის ქართველ ებრაელობაზე, რომელიც ყველა ერზე დაბლა სდგას კულტურულათ. მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ ყოველი ერი, რომელიც არ ცდილობს თავის ენის, კულტურის, ლიტერატურის განვითარებას, რომელსაც არ სურს შეისწავლოს თავისი წარსული და მომავლის შექმნისათვის არ ზრუნავს გადაგვარება მოელის. ჩვენ, ქართველი ებრაელობა, —გარემოებმა დიდი ხნიდან მტკიცეთ შეგვაკავშირა, შეგვაერთა ჭირსი თუ ლხინში ქართველებთან და თუ ქართველი ებრაელობა თავისუფლად ცხოვრობს და ისეთი ტანჯვა არ განუცდია მას, როგორიც განიცადეს სხვაგან ჩვენმა მოძმეებმა, სწორეთ იმისი ბრალია, რომ ქართველი ერი, ფსიხოლოგიურათ, ბუნებრივათ კაცმოყვარეა, რომელი კაცმოყვარეობაც მან გამოიჩინა ქართველ ებრაელებისადმიაც და შეიფარა იგი, როგორც მკვიდრი ძმა.

შემდეგ ბ. ბააზოვმა დაასურათა უნუგეშო ნივთიერი მდგომარეობა პროვინციებში მცხოვრებ ქართველ ებრაელებისა. ქართველი ებრაელების ამ მდგომარეობიდან გამოსაყვანათ მას საჭიროთ მიაჩნია სწავლა განათლების გავრცელება მათში, კულტურული დაწესებულებების დაარსება, შეერთება მთელი ქართველ ებრაელებისა და საერთო ძალღონით საქმის გაძღოლა.

„ჩვენ გვინდა, სთქვა მან, აღვზარდოთ ისეთი შვილები, გამოვზარდოთ ისეთი ახალგაზრდობა, რომელნიც იცნობენ თავის, ერს, თავის ისტორიის, ენას, კულტურას, ლიტერატურას, თავის მწერლებსო. მე დარწმუნებული ვარ, ბატონებო, რომ ქართული მწერლობიდან ითარგმნებოდეს აკაკისა და სხვა მწერლების ნაწარმოებნი ებრაულ ენაზე, ანდა პირიქით ებრაულ გამოჩენილ მწერლების ნაწარმოებნი ქართულზე, ორივე ერისათვის სასიხარულო და სასიამოვნო იქნება. უფრო დაახლოებით გაეცნობიან ერთმანეთს ამ ერის შვილები და უფრო მკვიდრი კავშირი და ძმობა დამყარდება მათ შორის. ამას კი შევსძლებთ მაშინ, თუ ჩვენ ქართველ ებრაელობას სწავლა-განათლება გვექნება და აღვზრდით ჩვენს მომავალ თაობას ისე, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე პედაგოგიკა, მეცნიერება და სწავლის პროგრამიულათ, მეთოდიურათ და სისტემატიურათ დაყენების საქმე. ამის განსახორციელებლათ-კი, განაგრძო მან, —საჭიროა ერთი უმაღლესი სასწავლებლის „თალმუდ თორის“ დაარსება ქალ. ქუთაისში. სადაც ჩვენი შვილები უმაღლეს განათლებას შეიძენენ. მეორე— პროვინციებში საჭიროა დაარსდეს დაბალი და საშუალო სასწავლებლები ქართველ ებრაელთათვის, „სადანაც ნიჭიერი ბავშვები სწავლას განაგრძობენ „თალმუდ თორაში“, ხოლო უნიჭო ბავშვებისათვის საჭიროა დაარსდეს სახელოსნო სასწავლებლები, ხელოსნობის გასავრცელებლათ ქართველ ებრაელებში. ასეთი სასწავლებლების დაარსება მიუცილებელ საჭიროა,“ რადგანაც, თუ ამ ათიოდე წლის წინათ პროვინციებში მცხოვრებნი ებრაელები ფეხზე ვაჭრობით თუ ისე ირჩენდენ თავს და თითო ოროლა გროშს შოულობდენ, დღეს ეს მათ მოისპოთ, ვინაიდან ყველგან არსდება კოოპერატიული სავაჭროები, რომელთა კონკურენციასაც ისინი ვერ გაუწევენ და იძულებული არიან სხვა და სხვა სამუშევარი ეძიონ სოფლათ, თუ ქალაქათ. ბევრი მათგანი უკვე შეუდგა მიწის დამუშავებას.

და აი, სწორედ ეს იყო მიზანი, რომ მოვმხდინა რაბინებისა და ქართველ ებრაელების წარმომადგენლების კრება, რომ გამოგვენახა ნივთიერი საშუალება ყველა ამის დასაგვირგვინებლათ და თანაც საერთოდ მოგველაპარაკა ჩვენს პროგრამზეო.

სასწავლებლების შესახებათ, ბ. ბააზოვის აზრით, საჭიროა დაარსდეს „ცენტრალური საგუბერნიო კომიტეტი, რომელიც იზრუნებს ნივთიერი საშუალების გასაძლიერებლათ, წევრების შესაძენათ, შემოწირულობათ მოსაგროვებლათ.

ამავე მიზნით, რაბინების თაოსნობით, უნდა დაარსდეს პროვინციებში ადგილობრივი კომიტეტები, რომელთაც კავშირი ექნებათ საგუბერნიო კომიტეტთან. და თუ პროვინციის კომიტეტი ვერ შესძლებს თავისი ძალღონით დააკმაყოფილოს ადგილობრივი სასწავლებლის ხარჯები, მაშინ საგუბერნიო კომიტეტის თანხიდან მიეცემა დახმარება და პირ იქით: თუ პროვინციის კომიტეტი იმდენ თანხას შეაგროვებს, რომ ადგილობრივ საჭირო არ იქნება, ზედ მეტი გადაეგზავნება საგუბერნიო კომიტეტს.

კრებამ ბ. ბააზოვის სამოქმედო პროგრამა სასურველათ იცნო და არც კამათი გამოუწვევია. ყველა დამსწრემ სურვილი გამოსთქვა, რაც შეიძლება მალე განხორციელდეს ასეთი საშვილიშვილო კეთილი საქმე ქართველ ებრაელებისათვის. მაგრამ, რადგანაც ამ საქმის განსახორციელებლათ საჭიროა ქუთათურ რაბინის მხურვალე თანაგრძნობა, დახმარება და თანაგრძნობა რაბინების კრების გასამართავათ, კრებამ ამოირჩია დეპუტაცია მასთან მოსალაპარაკებლათ და დასარწმუნებლათ, რომ მისი გულგრილობა ამ საკეთილო საქმეში დიდი დანაშაული იქნება ქართველ ებრაელების წინაშე.

კრებამ დეპუტაციაში ამოირჩია გრიგოლ გველესიანი, იაკობ ფანცხავა, არონ ელიგულაშვილი, შიმშონ იაკობიშვილი. დეპუტაციასთან ერთად იქნება ყველა რედაქციიდან თითო წარმომადგენელი. დეპუტაცია რაბინთან მოსალაპარაკებლათ მივა ხუთშაბათს საღამოს. **დამსწრე.**

**მარიამ ანტონის ასული შავერზაშვილი.**

დღევანდელი კონცერტის გმირი.

## კონცერტი მ. შავერზაშვილისა

დღეს ქალაქის თეატრში, ახალგაზდა ქალი მარიამ ანტონის ასული შავერზაშვილი გამართავს კონცერტს. ქ. შავერზაშვილმა შარშან დაასრულა თფილისის სამუსიკო სასწავლებელი და როგორც ამავე სასწავლებლის მასწავლებლები და პროფესორები მოწმობენ, მას დიდი ნიჭი გამოუჩენია დ კარგათაც დაუხვეწულებია იგი. ქუთაისის საზოგადოება მოვალეა თავისი დასწრებით გაამხნეოს ახალგაზდა მომღერალი ქალი და მით ხელი შეუწყოს მის კეთილ სურვილებს სამშობლო მუსიკის სამსახურისათვის.

როგორც ვიცით, ქ-ნ შავერზაშვილმა თფილისშიც გამართა კონცერტი და ხალხი დიდი ნასიამოვნები დარჩა.

## უკანონო მოქმედება

### ბოქაულის მათევევისა.

(სოფელი ვანი ქუთაისის მაზრა).

9 ნოემბერს 1915 წელს სოფ. ამაღლებაში (ქუთაისის მაზრა) მოვიდა სოფ. ვანის ბოქაული მათევევი, რომელსაც ახლდენ დარაჯები კენჭაძე და სხვა—უბრძანეს ამღლების კანცელარიის იასაულს მელიტონ ხონელიძეს, მოეყვანა აზ: ბეგლარ სიმონის ძე ნაკაშიძე. ბოქაული მათევევი დუქანში ქეიფობას შეუდგა. საღამოს 8 საათზე, როცა აზ. ნაკაშიძე გამოცხადდა კანცელარიაში, ბოქაულმა მათევევმა უბრძანა იქ მყოფ ხალხს გასულიყო სოფლის კანცელარიიდან; ხალხი გავიდა. ბოქაულმა ერთ დარაჯთაგანს უბრძანა გაჩერებულიყო ათი საჟენის იქით და ხალხი არ მოეშვა კანცელარიასთან, მიუბრუნდა აზ. ნაკაშიძეს და უთხრა: რატომ არ დამიჭერიე ყაჩაღებიო. აზ. ნაკაშიძემ უპასუხა: მე 70 წლის კაცი ვარ და სად შემიძლია ყაჩაღების დაჭერაო. მაშინ ბატონმა ბოქაულმა თავის ხელით ცემა აზ. ნაკაშიძეს; შემდეგ უბრძანა სტრაჟნიკ კენჭაძეს და იმანაც ცემა, ვიდრე ნაკაშიძე არ წაიქცა. ცემის შემდეგ ბოქაულმა ერთი დარაჯი გააყოლა ნაკაშიძეს, რომ დუქნებში არ შესულიყო და არ ეთქვა ვისმესთვის ცემის ამბავი. დარაჯმა თავ-სისხლიანი ნაკაშიძე პირდაპირ მიიყვანა სახლში და დასტოვა.

ასევე დაიბარეს სოფ. ბზვანის მცხოვრები გლეხი გიგო დავითის ძე ძიგრაშვილი, რომელიც ღამის 10 საათზე გამოცხადდა კანცელარიაში, როდესაც ძიგრაშვილი მოვიდა, ბოქაულმა მათევევმა უბრძანა ძიგრაშვილის მომყვან დარაჯს ხონელიძეს გარეთ გასულიყო. ბოქაულმა გიგო ძიგრაშვილს უბრძანა გაეხადა ტანისამოსი და, როდესაც ეს შესრულებულ იქნა, ბოქაულის ბრძანებით, სტრაჟნიკმა კენჭაძემ შეუბრალებლათ ცემა დაუწყო ძიგრაშვილს, სცემდა მათრახითა და თოფის კონდახით, ვიდრე ძიგრაშვილს თავპირიდან სისხლი არ ადინა. როცა ცემით გული იჯერეს და საკმაოთაც ადინეს სისხლი, შემდეგ მოიტანეს ჩიფით წყალი და მორეცხეს ის ადგილი, სადაც სისხლი იყო დაღვრილი. ძიგრაშვილს კი უბრძანეს პირდაპირ წასულიყო სახლში და ცემის ამბავი არავისთვის ეთქვა.

არ ვიცით, რა ინტერესი ჰქონდა ბ. ვანის ბოქაულს, ან რა დანაშაული მიმაძღოდა მის წინაშე, რომ ამისთანა შეურაცხყოფა მომაყენა მე საწყალ მუშას. დღეს ამისთანა შემთხვევით შვიდი სული; მცირე წლოვანი შვილები და მეც დამალვით ვიმალებით მოყვრებში, ხან მეზობლებში რადგანაც დაპირებულია ბატონი პრისტავი და სტრაჟნიკი კენჭაძე ორჯერ მეტი იქნება ამისთანა პატივისცემა 14 ნოემბერს, თუ ყაჩაღები არ მოიყვანე სოფ. ვანშიო; ვისი ბრძანებით და რა მიზეზისათვის დაგვსაჯა ბ. ბოქაულმა არ ვიცით. ყაჩაღების დასაჭერათ არსებობს პოლიცია და ჩვენ უიარაღო სოფლის ხალხს სად შეგვიძლია ყაჩაღების დაჭერა. თუმცა ზნეობრივი მოვალეობა კი არის ხალხისათვის მაინც პირების დაჭერაში ხელი შეუწყოს პოლიციას ისიც იმ დროს, როდესაც ბ. პოლიციელებიც შედგრათ ლიფარვენ ხახს.

---

და იმის კიდიგება, ეროვნული თავდაცვისათვის ნუ იბრძოლებთო, საშინელი კიდიგებაა, რომელსაც შეუძლია გადააგვაროს და ბოლოს სრულიადაც აღგავოს ერი პირისაგან ქვეყნისა.

„ჩვენ უნდა ვიდგეთ შერიგების, თანხმობის გზას—ეს არის ქართველი ერის პოლიტიკური განვითარების, ქართველი ერის ტენდენციების მოთხოვნილება“-ო, ამბობს „იმ—ამ“. მართალია. სადაც ბრძოლაა, იქ შერიგებაც არის და დათმობა— ორივე მხრისათვის აუცილებელია, მაგრამ იმ პირობით კი, რომ არცერთისთვის არ იყოს საზიანო. აი რა უნდა ედვას საფუძვლად შერიგებას.

რა პირობით არის შესაძლებელი შერიგება?

შევეხოთ ჯერ საქართველოს ტერიტორიის ფარგალს. აი რას ამბობს ამის შესახებ ბ. „იმ—ამ“: „ინტერნაციონალისტების ამ ქართველ ჯგუფებს, რომელნიც იზიარებენ ნაციონალურ-ტერიტორიალური ავტონომიის აზრს და რწმენას, საქართველოს ტერიტორიად მიაჩნიათ: ტფილისისა და ქუთაისის გუბერნია, ზაქათალისა, ბათომისა და სოხუმის ოლქი“-ო. თითოეული მემამულე ცდილობს შემოფარგლოს თავისი მამული ისე, რომ მისი მოსახლობა ერთს მთელ ეკონომიურ ერთეულს წარმოადგენდეს. მაგრამ იმავე დროს მისი საზღვრები თუ მეზობლის მოსახლობის მთლიანობას არღვევენ, ერთის აშენებას თან მოსდევს მეორის დანგრევა. ასეა პოლიტიკაშიაც. როდესაც საკუთარს პოლიტიკურ შენობას აშენებ, არ უნდა დააქციო ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება იმ ხალხისა, რომელიც ამ შენობის ფარგალს გარედ რჩება.

მაშასადამე, არ კმარა იზრუნებდე მხოლოდ ფარგალს შიგნით, არამედ უნდა დაუკვირდე ფარგალს იქით მდებარე მხარეებსაც. მხოლოდ მაშინ შეგიძლია მოახდინო რიგიანი და სამართლიანი გამიჯნვა.

ჩვენი ფედერალისტები კი სხვა გვარად სჭრიან ამ საკითხს და ამბობენ: ამ ფარგალს შიგნით საქართველოა, ფარგალს გარედ მდებარე ქვეყნებს კი წინ წყალი და უკან მეწყერი: სადაც უნდათ, იქ წავიდენო.

მაგრამ ფარგალს გარეშე მცხოვრებთ სრული უფლება აქვთ გიპასუხონ: სად-და უნდა წავიდეთ, როდესაც წასასვლელი გზებიცა და ეკონომიური ცენტრიც თქვენ ჩაგიგდიათ ხელში?! და რისთვის უნდა შევუერთდეთ იმ ქვეყნებს, რომლებთანაც საერთო არა გვაქვს რაო?!

სწორეთ ამას გვეტყვიან ყარსის ოლქის ქართველი ნაწილის, ე. ი. ოლთისის (ტაოს), არტაანისა და კოლა-ერუშეთის მცხოვრებნი. მართლაც, რა ნება გვაქვს, რომ გამოვრიცხოთ ისინი საქართველოს ტერიტორიიდან? ჯერ ერთი, მათი ქვეყანა გეოგრაფიულად მესხეთის ნაწილია, მეორე, ისინი ჩამომავლობით ქართველები არიან და ზნითა, ჩვეულებითა და სარწმუნოებით სრულიად არ განსხვავდებიან მესხეთის ქართველი მაჰმადიანებისაგან. იმავე დროს მათ არაფერი არ აქვთ საერთო ერევნის გუბერნიის შია—თათრებთანა და სომხებთან.

მეორე მხრით, იმავე ყარსის ოლქის დანარჩენ ნაწილებში სომხები—მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენენ და თათრები აღიარებენ შიიტურ დოგმას, რომელსაც აღიარებენ ერევნის გუბერნიის თათრებიც, და არც ჩამომავლობით განსხვავდებიან უკანასკნელთაგან.

მაშასადამე, ყარსის ოლქი უნდა გაიჭრას ორ ნაწილად. ერთი ნაწილი, დასახლებული უმთავრესად ქართველი მაჰმადიანებით, უნდა შეუერთდეს მესხეთს, ე. ი. საქართველოს, მეორე ნაწილი კი ერევნის გუბერნიას. ერევნის გუბერნიასავე უნდა შეუერთდეს ელისავეტპოლის გუბერნიის ის ნაწილი, რომელიც უმთავრესად სომხებით არის დასახლებული, და გამოიჭრება ტერიტორია, რომელზედაც სომხები შეადგენენ მცხოვრებთა 60% და რომელიც უნდა დაედვას საფუძვლად მომავალს სომხურ-თათრულ ავტონომიას. სომხურ-თათრულსთქო, ვამბობ, რადგან იქ თათართა რიცხვი 40% იქნება.

ამ ავტონომიას, დაახლოებით, ისეთი ხასიათი ექნება, როგორიც აქვს, მაგალითად, ავსტრიაში მორავიის ავტონომიას, რომელშიაც ჩეხებსა და გერმანელებს თანასწორად აქვთ განაწილებული საერობო და საადმინისტრაციო უფლებანი...

კიდევ უფრო შეუწყნარებელია „იმ—ამ“-ისა და მისი ამხანაგების ორჭოფობა ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების შესახებ. მათ შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ეს მაზრები მთლად გამოეყონ საქართველოს ტერიტორიას, თუ კი ამას მათი მცხოვრებნი მოისურვებენ და პლებისციტით დაადგენენ.

ამგვარად ისინი მზად არიან ხელი აიღონ იმ მიწაზე, რომელიც მუდამ ჩვენ გვეკუთვნოდა და გვეკუთვნის დღესაც ისტორიული უფლებისა და გეოგრაფიულისა და ეკონომიური პირობებისა ძალით!

მეტადრე ისტორიულ უფლებას იგდებენ აბუჩად. აი რას ამბობს ბ. „იმ—ამ“ ამის შესახებ: „ქართველთა პოლიტიკური იდეალი უნდა სასიმპატიოდ და მისაღებად გავხადოთ მთელი რუსეთის ეროვნებათა პროგრესიულ—დემოკრატიული ნაწილებისათვის. ესენი კი მტკიცედ იცავენ და აღიარებენ პრინციპს ეთნოგრაფიული საზღვრებისას. თქვენ რომ უკრაინელთან, ან ესტონელთან, ან ლატიშთან, ან ლიტველთან ან ბელორუსთან ახსენოთ ისტორიული ტერიტორია, მაშინ საუკუნო მტერს მოიპოვებთო“.

მაშასადამე, ჩვენ უნდა დავსთმოთ ჩვენი ისტორიული უფლება იმიტომ, რომ ამით თავი მოვაწონოთ დასახელებული ერების ინტერნაციონალისტებს?! ვფიქრობ, რომ ეს ვერაფერი საბუთია ჩვენი უფლების უარყოფისათვის. ხსენებული ინტერნაციონალისტები თუ იმდენად არ განვითარებულან, რომ ვერ შეუგნიათ ისტორიული უფლების მნიშვნელობა, ეს რა ჩვენი ბრალია და რა ჩვენი გადასახადია! და ჩვენ მხოლოდ მიტომ აღვიარებთ და მოვითხოვთ ჩვენი ისტორიული უფლების აღდგენას, რომ, თუ კი არის საერთაშორისო სამართალი, ჩვენთვისაც არ უნდა იყოს დახშული სამართლის კარი!

მაგრამ ისტორიული უფლება უსამართლობა არისო, გვეუბნებიან „იმ—ამ“ და მისი ამხანაგები. არა, ბატონოებო! უფლებაც არის და უფლებაც. უსამართლობა მხოლოდ ის ისტორიული უფლება არის, რომელიც დაფუძნებულია დაპყრობაზე. მაგალითად, მე რომ ვინმე მითხრას: ჩემი წინაპრები შენი წინაპრების ბატონები ყოფილან და, ამიტომ, მეც შენი ბატონი უნდა ვიყო, მისი ისტორიული უფლება, ცხადია, შეუწყნარებელი იქნება.

სწორეთ ამიტომ არის შეუწყნარებელი პოლონელთა ისტორიული უფლება უკრაინაზე, ლიტვაზე და სხ.

მაგრამ სულ სხვაა ისისტორიული უფლება, რომელიც დაფუძნებულია თავისი ტერიტორიის დაცვაზე. ავიღოთ უბრალო მაგალითი. თქვენი წინაპრების მთელ რიგს თავისი ოფლითა და სისხლით მოურწყავს თქვენი მამული. მაგრამ შემოგესიათ მტერი და მამული ძალით და მოხერხებით ხელიდან გამოგაცალეთ. ნუ თუ თქვენ არ გექნებათ უფლება, რომ უკანვე დაიბრუნოთ მამული?

ასეთივეა ჩვენი ისტორიული უფლებაც. ახალ ქალაქის მაზრა, ბორჩალოს მაზრა და ზაქათალის ოლქი საუკუნეთა განმავლობაში ქართველებით იყო დასახლებული. ამ ადგილების თითოეული მტკაველი ჩვენი წინაპრის ოფლითა და სისხლით გაპოხიერებული და მორწყულია. ისტორიას არ ახსოვს, როდის მოვიდენ და დაესახლენ იქ ქართველები, რომელნიც მხოლოდ უკანასკნელ ხანს აიყარენ და გადაიხვეწნენ იქიდან იძულებით. სომხები ახალ ქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში და ლეკები ზაქათალის ოლქში მხოლოდ გუშინ დაესახლენ. და ნუ თუ ამიტომ ჩვენი ისტორიული უფლება ამ მაზრებზე სრულიად გაქარწყლდა? მაშასადამე, ამდენი ათასი წლის ღვაწლი და ამაგი, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დასდვეს, უმნიშვნელო ყოფილა!

მაშ, თუ ასეა, ებრაელებს არავითარი ისტორიული უფლება არა ჰქონიათ პალესტინაზე! ბ. „იმ—ამ“!

ვსთქვათ, ვეღირსეთ იმ დროს, რომ განხორციელდა სანატრელი ინტერნაციონალიზმი და საერთაშორისო საკითხები ხმლით კი არა, საერთაშორისო სამართლით სწყდება და წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ აგირჩიეს მოსამართლედ არაბებმა და ებრაელებმა. ვის მიაკუთვნებთ პალესტინას? არაბებს, თუ ებრაელებს? დარწმუნებული ვარ, რომ ორსავე მხარეს, თუმცა იქაური ებრაელების რაოდენობა სახსენებელიც არ არის და, მაშასადამე, ებრაელებს პალესტინაზე არავითარი ეთნოგრაფიული უფლება არ მოეპოვებათ.

მაშასადამე, ისტორიული უფლება, დამყარებული წინაპართა ნამდვილ ღვაწლზე, საცინლად ასაგდები არ არის, არამედ საერთაშორისო სამართლის მიერ აღსარებული უნდა იყოს. უამისოდ საერთაშორისო სამართლის წინ საერთაშორისო უსამართლობა იქნებოდა. **ახარი.**

(შემდეგი იქნება.)

ამ საქმეზე სათანადო შუამდგომლობაა აღძრული ბ. გუბერნატორის წინაშე, რომ შესაფერი განკარგულება მოახდინოს და დაგვიხსნას უდანაშაულო პირები ბ. მათვეევის თვითნებობისაგან.

უკანონო დასჯილნი: **ბიბლარ ნაკაშიძე** და **ბიბო ძიგრაშვილი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს პატარა შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

„მეგობრის" და „სამშობლოს" რედაქციებს შორის უსიამოვნობა ჩამოვარდა შესახებ ანგარიშისა, რომელიც იყო დასტამბული ორივე გაზეთში ქამაროვის საქმეზე. ჩემი შეხედულებით, დავა არსებითად დიდს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ, რადგან ამ ნიადაგზე ატმოცენდა უსიამოვნობა რედაქციებს შორის, მინდა რედაქციებმაც და მკითხველებმაც იცოდენ ნამდვილი საქმის ვითარება. ქამაროვის საქმის შესახებ პირველად ანგარიში დაიბეჭდა რუსულ გაზეთში. ჩემი შეხედულებით, ანგარიში არ იყო სრული და შეუცდომელი, ქამაროვის ინტერესი კი მოითხოვდა, რომ საზოგადოებას ცოდნოდა სინამდვილით მთელი საქმის ვითარება, მე არ ჩამვარდნია ხელში „მეგობრის" ნუმერი, რომელშიც ყოფილიყო მოთავსებული ანგარიში, მხოლოდ ჩემმა ამხანაგმა ვექილმა გრ. ლაღიძემ მკითხა, თუ ვინ იყო დამცველი ქამაროვის საქმეში. ისიც დაუმატა, რომ ბობრიშჩევს გარდა ერთი რუსული გაზეთი გასახელებს შენა და ჩიკვაიძესო. მე ვუპასუხე, რომ საქმეში ვიყავით: ბობრიშჩევი, ჩარექოვი და მე, ჩიკვაიძე კი არ ყოფილათქო. ბ. ლაღიძე შემეკითხა, შეიძლება თუ არა ამიხსნა საქმის ვითარება უფრო ვრცლად, თანაც დასძინა, რომ ეს საჭიროა, რადგან ცოტა საქმის გარემოება, ბრალდებულის და ბობრიშჩევის სიტყვები კი იყო შემოკლებით დასტამბული „მეგობარში" და დანარჩენი ცნობა კი ჩვენ არ გვქონდა, ვერ მოვათავსეთო. მე ვუპასუხე შემდეგი: მთელი საქმე ხელში მაქვს და როდესაც გინდა შემოდი ჩემთან და საქმის შინაარსს გადმოგცემ მეთქი. მეორე თუ მესამე დღეს სასამართლოში შევხვდით ერთმანეთს. ბ. ლაღიძემ მითხრა—შენთან ველარ შემოველი და თუ შეიძლება აქ გადმომეცი მასალაო. დავეთანხმე. დავჯექით ვექილების კაბინეტში და რაც მახსოვდა ჩარექოვის და ჩემი სიტყვიდან შინაარსი, ის გადავეცი და იმანაც ჩაიწერა რუსულად. დანარჩენი მასალა, ლაღიძის სიტყვით, უკვე დაბეჭდილი იყო „მეგობარში" და მეც დანარჩენი არაფერი გადამიცია მისთვის. ჩემი შენიშვნა ბ. ლაღიძემ ქართულად დასტამბა „მეგობარში" მხოლოდ თავისებურად, შინაარსი კი არ შეუცვლია, თუ არ ვიგულისხმებთ ერთ მცირე შეცდომას, რომელიც მეორე გაზეთში იყო გასწორებული.

ქამაროვის საქმე ბევრს აინტერესებდა, რასაკვირველია ის საინტერესო იყო ჩვენი რედაქციებისთვისაც. „სამშობლოს" თანამშრომელმაც მითხრა, რომ უნდა დასტამბოს ამ საქმის ანგარიში. მე ვუთხარი მობრძანდით სახლში და ყოველისფერს გადმოგცემთ სიტყვიერათ და თქვენ ჩაინიშნეთ, რაც გინდათ და მერე როგორც გენებოსთ, ისე ისარგებლეთ მეთქი მე დაწერილი არაფერი მქონდა და პირდაპირ გადაცემა მთელი საქმის ვითარებისა არ შემეძლო. რამდენიმე დღის იქით იმან გამომიგზავნა კაცი და ბოდიშს ითხოვდა, რომ ვერ შემოვიდა და მთხოვდა მასალა გამეგზავნა. მე დავაბარე გამოგზავნილ კაცს, რომ, რაც მასალა მქონდა, უკვე გადავეცი „მეგობრის" რედაქციას და იქიდან აიღეთ, რაც გინდათ—თქო. გაბრუნდა თუ არა გამოგზავნილი კაცი, გამახსენდა, რომ ბ. ლაღიძისათვის მე არ გადამიცია მთელი მასალა, რადგან თვითონ მითხრა—რამდენიმე მასალა უკვე დავსტამბეთო, ამასთან ისიც გავითვალისწინე, რომ მე არ მქონდა წაკითხული ის ნუმერი „მეგობრის", სადაც დაიბეჭდა პირველი ანგარიში ქამაროვის საქმის შესახებ და არც შემეძლო მეკისრა იმისი თქმა, თუ რამდენად სისწორით იყო აღნიშნული მთელი ანგარიში „მეგობარში". და ამისთვის დავსწერე საქმის ვითარება, როგორც ეს არის სასამართლოს საბუთებში და მასთან სისწორით, რამდენადაც მახსოვდა განჩინებიდან და ბრალმდებლის სიტყვიდან მოსაზრება ქამაროვის წინააღმდეგ და აგრეთვე ბობრიშჩევის სიტყვიდან, რაც ქამაროვის სასარგებლოდ წარმოსთქვა მან და ეს მასალა გადავეცი „სამშობლოს" რედაქციას. დანარჩენი მასალის შესახებ ვუთხარი ესარგებლებია „მეგობარში" დაბეჭდილი მასალით, სადაც შევნიშნე „მეგობრის" ნუმერში ცოტაოდენი შეცდომა, შევასწორე, რომ შეცდომა არ გამეორებულიყო. ამ ნაირად მთელი მასალა ჩემგან გადაცემულია „სამშობლოს" რედაქციაში გარდა ჩარექოვისა და ჩემი სიტყვისა და მასთან, რაც რომ იყო დასტამბული ჩარექოვის და ჩემი სიტყვიდან „მეგობრის" ნუმერში შეცდომების ჩემგან შესწორებით ერთად შეეხებოდა მთელს საქმეს და ერთად გადაცემული დაისტამბა „სამშობლოში". მე არ მქონდა შემთხვევა, რომ შევხვედროდი ამ დღეებში რედაქციების წარმომადგენლებს და ამეხსნა საქმის ისტორია, თვარა ჩემი რწმენით, რედაქციებს შორის ამ ნაირი უსიამოვნობა არ ატყდებოდა. ვსთხოვ „სამშობლოს" რედაქციას ეს წერილი გადაბეჭდოს თავის პატივცემულ გაზეთში. *)

ა. საყვარელიძე.

## პროვინციის ცხოვრება.

**ხოფ. ლანჩხუთი.** „მეგობრი"-ს მე-14 ნუმერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია ლანჩხუთიდან „ადგილობრივის" ფსევდონიმით, რომელიც სიმართლეს მოკლებულია და, ვინაიდან გაზეთში მოთავსებულ ასეთ ცნობას შეუძლია საზოგადოებაში ეჭვი აღძრას, ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია ორიოდე სიტყვა ვსთქვა იმ საგანზე, რასაც კორესპონდენტი ეხება თავის წერილში.

იმაზე ცუდი არა არის რა, როდესაც კორესპონდენტი კერძო, საპირადო ანგარიშებით ეხება რომელიმე საგანს, სთხზავს კორესპონდენციას, შეჰყავს რედაქციაც შეცდომაში და მის საშუალებით ცდილობს ამა თუ იმ პირს ჩირქი მოსცხოს. სამწუხაროდ ასეთია ბ. „ადგილობრივის" წერილიც, რომელიც საპირადო ანგარიშებით მიწასთან ასწორებს ქ-ნ ფხაკაძისაგან დაარსებულ კერძო პროგიმნაზიას, იმ დროს, როცა ასეთი იმას არა დაუშავებია რა.

საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო მოკლეთ საქმის ნამდვილი ვითარება.

თუ არა ვსცდები, 1909 წელში ლანჩხუთის საზოგადოებამ მართლაც განიზრახა დაარსება საქალო ოთხკლასიანი ეგრედ წოდებული „მარინეს" ტიპის პროგიმნაზიისა, აღძრა კიდეც სათანადო შუამდგომლობა და მასთან შეუდგა სხვა თადარიგს. ამისათვის უპირველესათ საჭირო იყო, სათანადო მთავრობისათვის საზოგადოებას დაეთმოა მიწა, სადაც უნდა აგებულიყო სასკოლო შენობა და აგრეთვე მისათვისვე უნდა გადაედვა განსაზღვრული თანხა. მაგრამ ადგილის არჩევის საკითხმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ატყდა ჯგუფობრივი, უკეთ რომ ვსთქვათ, კუთხობრივი უთანხმოება. საზოგადოება დაიყო რამდენიმე კუთხეთ. შეიქნა წეწვა; თითოეული კუთხე თავის ახლოს ეძებდა სასკოლო ადგილს. ეჯიბრებოდენ კიდეც ერთმანეთს მეტი და მეტი ადგილის უფასოთ დათმობაში, მაგრამ საკითხი ისე გამწვავდა, რომ შეუძლებელი შეიქნა შეთანხმება. ამ ორომტრიალში განვლო კიდეც წლებმა და „საკითხმაც მიიძინა. სწორედ ამ დროს ეს იყო 1912 წელს, ლანჩხუთს ესტუმრა აქ კარგათ ცნობილი გამოცდილი მასწავლებელი ქ. ეკ. ფხაკაძის ასული, რომელმაც გამოსთქვა ლანჩხუთში პროგიმნაზიის გახსნის სურვილი, რაც გაუზიარა კიდეც საზოგადოებას. საზოგადოება, მართალია, სიხარულით შეხვდა ამ ამბავს, რაშიაც ხედავდა არა შეფერხებას, როგორც „ადგილობრივი" აღნიშნავს, არამედ ხსნას უხერხულ მდგომარეობიდან გამოსვლისას და ყოველგვარ დახმარების დაპირდა, ოღონდ კი გაეხსნა პროგიმნაზია. ქ. ფხაკაძემ რაკი დაინახა საზოგადოების თანაგრძნობა არც კი უთხოვია დახმარება, 1912 წელშივე თავის ხარჯით გახსნა ქალთა კერძო ოთხკლასიანი პროგიმნაზია. იმ თავიდანვე მოიწვია გამოცდილი მასწავლებლები და დაიწყო კიდეც მეცადინეობა.

აგერ ოთხი წელი შესრულდა რაც ეს სკოლა არსებობს და მთელი ამ ხნის განმავლობაში სწავლა საუცხოვოთ სწარმოებს, რითაც სხვათა შორის სასწავლებლების დირექტორიც კი ნასიამოვნები დარჩა „რევიზიის დროს და აღუთქვა ყოველგვარი დახმარება.

როგორც გამგე, აგრეთვე თანაშემწე მასწავლებლები შრომას და ენერგიას არ იშურებენ ოღონდ სკოლისა და სწავლის საქმე წინ წასწიონ. რომ სკოლამ საშუალება მისცეს საზოგადოების—შვილებს თავიანთ სახლში ოთხი კლასი დაასრულებიონ და ვისაც შეძლება ექნება ხომ განაგრძობს კიდეც...

წელს პირველათ გამოუშვა სასწავლებელმა ოთხ კლას დასრულებული მოწაფეები, რომელთაგანაც ნივთიერად (ვა მეტმა შეძლო მთავრობის გიმნაზიაში სწავლის განგრძობისათვის ეგზამენის ჩაბარებლად წასვლა. ამათგან რვამ მაისშივე, თუ ივნისში კარგათ ჩააბარა გამოცდები, სამმა—სექტემბერში, და ჩაიჭრა კი მხოლოდ ორი,—ესენი დღეს განაგრძობენ სწავლას შემდეგ სასწავლებლებში:

2—ქუთაისში, მთავრობის გიმნაზიაში, 4—წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიაში აქვე; 1—ფოთის გიმნაზიაში, 1—ბაქოს გიმნაზიაში, 1—თფილისში, საბებიო ინსტიტუტში და მხოლოდ მეთერთმეტე დარჩა სახლში უსახსრობის გამო. ბ. ადგილობრივი—კი აღნიშნავს მოწაფეებმა მთავრობის გიმნაზიაში გამოცდების ჩაბარება ვერ შესძლესო, რის თქმაც სხვა რო არა იყოს რა, ულამაზოა. მე მგონია, რომ ამაზე დიდ პროცენტის გამოცდა ჩაბარებულთა ვერც ერთი სასწავლებელი ვერ მოგცემს. აღნიშნულ სასწავლებელში დღეს ირიცხება ას ორმოცდაათი მოწაფეზე მეტი. სწავლის ფასი ისევ ოცდაათი მანეთია და არა ორმოცი, როგორც ეს „ადგილობრივს" ქონდა აღნიშნული. თუმცა შემდეგ ამას მოყვა რედაქციის შენიშვნა, რომ 80 კორექტურული შეცდომაა, წერილში 40 მ. იყოვო, მაგრამ ესეც სიმართლეს მოკლებულია. რაც შეეხება კერძო მეცადინეობაში საათში თითო მანეთის მოთხოვნას ლანჩხუთში ამაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

ამგვარად ბ. „ადგილობრივის" კორესპონდენცია თავიდან ბოლომდის ყალბია. განსაკუთრებით დიდი დანაშაულობაა იმის თქმა, თითქოს ქ. ფხაკაძეს ხელი შეეშალოს საზოგადოებისათვის სკოლის გახსნაში. საკმაო დრო ქონდა საზოგადოებას 1912 წლამდის, განზრახვა სისრულეში მოეყვანა, მაგრამ, როგორც ზევითაც აღვნიშნე, ერთმანეთში გამოწვეული უთანხმოებით ეს ვერ შესძლეს და როცა ეს შესძლო ქ. ფხაკაძემ, საზოგადოება სიხარულით შეეგება მას. აგრეთვე მეტის მეტ კადნიერებათ უნდა ჩაეთვალოს კორესპონდენტს იმის თქმა, რომ უკეთესია ასეთი სკოლა დაიხურებოდესო. არა თუ დაიხუროს, დღეს, საზოგადოება ვალდებულია დაეხმაროს ამ სასწავლებელს და მოაპოვებინოს ის, რაც მას აკლია. იმ ტიპის სასწავლებელი, რომლის დაარსებაც მაშინ ქონდათ განზრახული—დღეს აღარ არსებობს—მოისპეს. ის თანხა კი, რომელიც ამ საქმისთვის შეაგროვეს საზოგადოებამ გადასდვას განზრახულ სამეურნეო სასწავლებლისათვის, რაც კიდევ მეტს საჭიროებას შეადგენს ჩვენი სოფლისათვის. ასეთია მოკლეთ ამ საქმის მდგომარეობა. და კარგს ინებებდა ბ-ნი „ადგილობრივი", რომ ყველა ეს გაეთვალისწინებია და საზოგადოება არ მოეტყუილებია.

ა.— ი.

---

*) ბ. ა. საყვარელიძის განმარტებიდან მკითხველი საზოგადოება დარწმუნდება, რომ ქამაროვის პროცესის შესახებ მასალები ჩვენს რედაქციას მიუღია ბ. ა. **საყვარელიძისაგან** და არა **სიტყვა-სიტყვით** გადმოუბეჭდია გაზ. „მეგობრიდან" რაშიც მეგობრის რედაქცია არწმუნებდა საზოგადოებას. რაც შეეხება ჩარექოვისა და თვით საყვარელიძის წარმოთქმულ სიტყვებს, რომელიც დაბეჭდილი იყო „მეგობარში",—ესეც თვით ბ. ა. საყვარელიძისგან იყო შესწორებული. (ჩარექოვის სიტყვაში ერთგანაა შესწორება შეტანილი, ხოლო საყვარელიძისაში სამ ადგილას) შესწორება თვით საყვარელიძისავე ხელითაა და გადმოცემულია სამშობლოს რედაქციაში.

რაც შეეხება იმას, თუ რად დასჭირდა „მეგობრის" რედაქციას ამდენი თავის მტვრევა სხვის უმნიშვნელო საქმეზე—ეს მკითხველ საზოგადოებისათვის მიგვინდვია. უმჯობესი იქნებოდა „მეგობრის" რედაქციას შეედარებია ორივე გაზეთის დედანი და სისწორით აღენიშნა, თუ რა იყო გადმოღებული და რა არა, იმის მტკიცება კი, რომ **სიტყვა-სიტყვით** გადაიღოვო—მეგობრისტების ჩხირკედელობას ამტკიცებს და მეტს არაფერს.

**რედ.**

---

რედ.-გამომც. ი. თ ციცაძე

### გერმანიაში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kieggefangenenlagers
აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
Liebesgaben für bie russischen Kriegsgefangenen
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დააკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:
suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48,
А. А. Вахерахтъ

ან კიდევ მეორე:
Banque populaire suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება [illegible] დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное.
suisse. Recommanbée
Comité International de la Rouge.
Agence des prisonniers de guerre Généve.

### მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | დილის | 5 ს. | 50 წ. |
| „ | ღამის | 11 ს. | 30 წ. |
| ბათომიდან | დილის | 10 ს. | 5 წ. |
| „ | ღამის | 2 ს. | 23 წ. |
| ფოთიდან | დილის | 10 ს. | 30 წ. |
| ტყიბულიდან | დილის | 9 ს. | 38 წ. |
| „ | საღამოს | 7 ს. | 39 წ. |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | დილის | 7 ს. | 55 წ. |
| „ | ღამის | 1 ს. | 7 წ. |
| ბათომისაკენ | საღამოს | 10 ს. | — |
| „ | დილის | 4 ს. | 27 წ. |
| ფოთისკენ | ნაშუადღ. | 4 ს. | 14 წ. |
| ტყიბულისკენ | დილის | 6 ს. | 40 წ. |
| „ | ნაშუადღ. | 4 ს. | 20 წ. |

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა
„რუსეთი" („როსსია"),
სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.
პირადათ მოლაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდეთ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მერე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ქ. ქუთაისში
1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., მ. **კვინიხიძის** ქალთა პროგიმნაზიის სადგომში
გაიხსნა როიალზე სწავლების კლასი.
სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინდაწინ უნდა გადახდილ იქნეს. ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო. ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდი იქვე. თ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
დიდი იაფი ვაჭრობა
ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.
რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.
თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია
ალექსანდრე ი. კოსტავასი
თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.
ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანისამოსები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **იაფიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა"
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.